



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამის შესახებ

ამერიკისმცოდნეობა  
დოქტორანტურა

შპს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
23/12/2025-9/01/2026

დასკვნის წარდგენის თარიღი  
05/02/2026

თბილისი

## შინაარსი

|  |    |
|--|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....   | 4  |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა.....                                   | 5  |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან .....                                 | 7  |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... | 7  |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....      | 14 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა .....                                   | 19 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....  | 21 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....                                       | 28 |

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

|   |   |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებთ | შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი<br>შეზღუდული პასუხისმგებლობის<br>საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი  | 229275405   |
| დაწესებულების სახე  | უნივერსიტეტი  |

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

|  |  |
|--|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლელა ვანიშვილი. შპს აღმოსავლეთ-<br>დასავლეთ უნივერსიტეტი. საქართველო                       |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | ქრისტინე ჩიხლაძე. სსიპ-ივანე<br>ჯავახიშვილის სახელობის თბილისის<br>სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |  |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |  |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |  |

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|   |  |
|---|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)  | ამერიკისმცოდნეობა  |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)  | American Studies   |
| უმაღლესი განათლების საფეხური  | დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 8    |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>  | ამერიკისმცოდნეობის დოქტორი   |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი  | 0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>  | -  |
| სწავლების ენა   | ინგლისური  |
| ECTS კრედიტების რაოდენობა   | 53 ECTS კრედიტი  |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)   | აკრედიტებული   |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | -  |

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტურის პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი აკადემიური კვალიფიკაციის მკვლევრების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ ცოდნა და უნარები შეისწავლონ და გააანალიზონ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოება, ისტორია, პოლიტიკა, ლიტერატურა, კულტურა და სოციალური პროცესები ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებით.

პროგრამა განასხვავებს თავს უნიკალური კონცეპტუალური ჩარჩოთი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინას: პოლიტიკათმცოდნეობას, კულტურათმცოდნეობას, ისტორიოგრაფიას, ლიტერატურათმცოდნეობას, გენდერულ და ემიგრაციის კვლევებს, და ქმნის მტკიცე პლატფორმას მრავალმხრივი კვლევითი საქმიანობისთვის.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარდგენილი ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

შესაბამისობის შეფასება განხორციელდა ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური ანალიზის საფუძველზე, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელება შეფასების ფარგლებში საჭირო არ გამხდარა.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 2025 წლის 7 ნოემბრის №3879-IBSU-01 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1579119, 10.11.2025) წარადგინა დამატებითი და განახლებული დოკუმენტაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული იყო 60-დღიანი ვადა „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნული ვადა უკავშირდებოდა მიმდინარე შეფასებებისას (ბრძანებები №544336, №544337, №544335; ოქმი №1322492) იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრას.

წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგად დადასტურდა, რომ გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა აკადემიური პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოწვეული ლექტორების სივებისა/რეზიუმეების განახლებას და მათი განახლებული ვერსიების წარდგენას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულდა დადგენილ ვადებში, რაც დასტურდება ცენტრში წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციით გათვალისწინებულ ყველა სტანდარტს. პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა, შინაარსი, აკადემიური რესურსი და შეფასების მექანიზმები თანხვედრაშია მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას. აღნიშნული გარემოება ადასტურებს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას.

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- რეკომენდაციები
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

დაწესებულებას არ წარმოუდგენია დამატებითი გარემოებები ან მტკიცებულებები, რომლებიც გამოიწვევდა წარმოდგენილი დასკვნის გადახედვის აუცილებლობას; შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნა დაწესებულების მოსაზრებების განხილვის შემდეგ უცვლელად დარჩა.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

---

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის მიზანი მკაფიოდ აღწერს იმ კომპეტენციებს, რომლებიც უნდა განუვითარდეს დოქტორანტს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამა ემყარება ინტერდისციპლინარული კვლევის დინამიკას და მიზნად ისახავს ანალიზის უნარების განვითარებას, რაც არსებითად შეესაბამება **დოქტორის ხარისხის ეროვნული აღწერილობის მოთხოვნებს** (მაღალი დონის კვლევა, აკადემიური თვითმყოფადობა, ინოვაციურობა, ცოდნის წარმოება).

პროგრამა სრულად შეესაბამება **დოქტორის აკადემიური ხარისხის** მიზანს, რომელიც განსაზღვრულია **ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში** — კერძოდ, რომ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად შესრულება, კრიტიკული ანალიზი, ცოდნის შექმნა და პრაქტიკაში ინტეგრირება.

- პროგრამა დაფუძნებულია მულტიდისციპლინარულ და ინტერდისციპლინარულ მიდგომაზე, რაც საშუალებას აძლევს დოქტორანტს, გადალახოს დისციპლინათშორისი ბარიერები და შექმნას ახალი კვლევითი ცოდნა. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და იზიარებს **ინტერნაციონალიზაციის პრინციპებს**.
- პროგრამის მიზანი მორგებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე — ასახულია კარიერული მიმართულებების მრავალფეროვნება (უნივერსიტეტები, საელჩოები, სახელმწიფო უწყებები, არასამთავრობო სექტორი), რაც ადასტურებს პროგრამის მიზნის პრაქტიკულობას და მის რელევანტურობას.
- პროგრამა ქმნის ყველა პირობას დოქტორანტის კვლევითი კომპეტენციების განვითარებისთვის — მძლავრი თეორიული საფუძვლით, ინტერდისციპლინარული კვლევის საშუალებით და საერთაშორისო მეცნიერული ქსელებში ჩართულობით (საგულისხმოა აშშ-ის ექსპერტების ოპონენტებად და თანახელმძღვანელებად დანიშვნა).
- პროგრამის მიზანი ასევე ეხება სოციალური, ეთიკური და მორალური ფასეულობების პატივისცემის განვითარებას, რაც შეესაბამება უნივერსიტეტის ძირეულ ღირებულებებს და მაღალი განათლების ევროპულ სტანდარტებს.

ამრიგად, ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა ნათლად აღწერს აკადემიური ხარისხის შესაბამის მიზნებს, პასუხობს შრომის ბაზრისა და კვლევით-საგანმანათლებლო სექტორის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს დოქტორანტის კომპლექსური უნარების განვითარებას და განასახიერებს ინტერდისციპლინარული და ინტერნაციონალური სწავლების საუკეთესო პრაქტიკას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**შეფასება**

პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი            | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები მრავალმხრივი და კომპლექსურია, რაც სრულად შეესაბამება იმ მულტიდისციპლინარულ და კვლევით სპეციფიკას, რომელსაც პროგრამა ემსახურება. სწავლების შედეგები მოიცავს როგორც დარგობრივ (სპეციფიკურ), ასევე ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს და აშენებულია შემდეგ სამ ძირითად კომპონენტზე:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- კურსდამთავრებულს აქვს ღრმა, სისტემური ცოდნა ამერიკისმცოდნეობის ძირითად მიმართულებებში: ეთნოსი, ემიგრაცია, ისტორია, პოლიტიკა, ლიტერატურა, მულტიკულტურალიზმი.
- სტუდენტი კარგად იცნობს სფეროს თეორიულ დებატებსა და უახლეს კვლევით ტენდენციებს, მათ შორის დასავლურ ღირებულებებს, რომელიც აუცილებელია კრიტიკული ანალიზისთვის.

უნარები:

- სტუდენტი იძენს კვლევითი მუშაობის სრულ ციკლთან დაკავშირებულ უნარებს: თემის შერჩევა, ჰიპოთეზის ფორმირება, ლიტერატურის მოძიება, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა და შედეგების გენერირება.
- შეუძლია როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ეფექტური კომუნიკაცია – საკონფერენციო მოხსენებების წარდგენა, სამეცნიერო სტატიების მომზადება, დისერტაციის დაცვა.
- ავითარებს კვლევით და საკომუნიკაციო თვითდამოუკიდებლობას და პროფესიული წერილობითი ურთიერთობის უნარებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- სტუდენტს გააჩნია პროფესიული და აკადემიური ეთიკის გათვალისწინებით დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- შეუძლია შერჩეული თემის მულტიდისციპლინარული კვლევა, საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირება და ეროვნული კონტექსტისთვის ადაპტირება;
- უწყალობდება მაღალი დონე საკუთარი სწავლების დაგეგმვაში, შეფასებასა და თვითგანვითარებაში.

მერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია დოქტორანტურის დონეზე აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონესთან.

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ ასახავს დოქტორანტურის საფეხურისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. ისინი ფორმულირებულია ინტეგრირებულად და ჰარმონიულად, მოიცავს კვლევით, ინტერდისციპლინარულ, ეთიკურ და ტრანსფერულ კომპეტენციებს, რაც კურსდამთავრებულს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთოს როგორც აკადემიურ, ისე არასაკადემიურ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეებში. შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ოპერატიულ და რეალისტურ მიღწევას

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა

### რეკომენდაციები:

- 

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- 

### შეფასება

**პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან**

| კომპონენტი                     | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სისტემური სტრუქტურა სრულად ემყარება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს და პასუხობს დოქტორანტურის საფეხურზე ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარების მოთხოვნებს. პროგრამაში სწავლებისა და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები მკაფიოდ არის მიესადაგებული თითოეული საგნის და მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს მიზნობრივ და ეფექტიან აკადემიურ პროცესს. სწავლების და შეფასების პროცესში გამოიყენება შერწყმული, მრავალმხრივი მიდგომები, რომლებიც სწავლის შედეგებზე ორიენტირებული სწავლების პრინციპს ემსახურება. შეფასების ფორმატები – მათ შორის ვერბალური პრეზენტაციები, დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა, კვლევითი დავალებები, სტატიების და დისერტაციის წერა, ქეისების ანალიზი და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – მიზნობრივად უკავშირდება როგორც საგნის, ასევე პროგრამის დონეზე განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი კვლევის, კომუნიკაციის, არგუმენტაციის, დასკვნის გამოტანის, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და ღირებულებების შემუშავების უნარების განვითარებას, რაც დოქტორანტურის საფეხურზე არსებითი მნიშვნელობის კომპეტენციებია.

ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები პირდაპირ უკავშირდება განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და მიზანმიმართულად უწყობს ხელს დოქტორანტების აკადემიური და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ, დინამიურ და ინტეგრირებულ სასწავლო გარემოს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

#### პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი  | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება საქართველოში დოქტორანტურის საფეხურისთვის დადგენილ აკრედიტაციის მოთხოვნებს და სრულად შეესაბამება ევროპის კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემას (ECTS). პროგრამის ფარგლებში გამოიყენება **1 ECTS = 25 საათი** დატვირთვის **პრინციპი**; სტრუქტურულად, პროგრამა დაყოფილია შემდეგ კომპონენტებად:

- **სავალდებულო სასწავლო კურსები – 43 ECTS**  
მოიცავს ძირითადი დისციპლინური კომპონენტების სიღრმისეულ შესწავლას და უზრუნველყოფს სპეციალობის კვლევით ბაზის გაძლიერებას.
- **სემინარი – 10 ECTS**  
ხელს უწყობს აკადემიურ დისკუსიაში ჩართვას, კვლევითი იდეების დამუშავებასა და კოლეგებთან ინტელექტუალურ ურთიერთობას.
- **არჩევითი კურსები – 10 ECTS**  
იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტმა საკუთარი კვლევითი ინტერესების მიხედვით გააფართოოს პროფესიული ჰორიზონტი.
- **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (დისერტაცია)**  
შეადგენს პროგრამის უმნიშვნელოვანეს ბირთვს, რაც პროგრამის საერთო მოცულობის უმრავლესობას მოიცავს და უზრუნველყოფს სტუდენტის დამოუკიდებელი კვლევითი კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია დოქტორანტურის საფეხურთან. იგი არის თანმიმდევრული, ლოგიკური და მიზანმიმართული – მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია მყარად ეყრდნობა სტრუქტურულად გამართული და შინაარსობრივად მდიდარი საგანმანათლებლო მოდელირებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**შეფასება**

**პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან**

| კომპონენტი  | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი დეტალურად არის დაგეგმილი ისე, რომ მისი შინაარსი და განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა სრულად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

კურსების სიღრმისეული ანალიზი ადასტურებს, რომ სწავლების მოცულობა და დატვირთვა პროპორციულია დაგეგმილი თემატიკის სირთულისა და შედეგების მიღწევის აუცილებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ძირითადი კურსები კონცენტრირებულია ამერიკისმცოდნეობის თანამედროვე და ინტერდისციპლინარულ ასპექტებზე. მათი შინაარსი და განსაზღვრული შედეგები პირდაპირ უკავშირდება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს და ხელს უწყობს სტუდენტების კომპეტენციების განვითარებას თეორიული და კვლევითი უნარების განმტკიცებით. მასალა შერჩეულია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და მოიცავს როგორც ძირითად, ისე დამატებით ლიტერატურას, ელექტრონულ რესურსებსა და თანამედროვე კვლევით წყაროებს.

ამრიგად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების განაწილება, ძირითადი კურსების სწავლის შედეგები და სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა შეესაბამება აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებს. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც კურსების მიზნებისა და შედეგების მიღწევას, ისე სტუდენტების მაღალი ხარისხის მეცნიერულ და პრაქტიკულ მომზადებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

პროგრამა შესაბამისია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი                | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

|  |   |                                     |
|--|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან            | <input checked="" type="checkbox"/> |
|  | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან   | <input type="checkbox"/>            |
|  | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/>            |
|  | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან     | <input type="checkbox"/>            |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წესები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასა და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

- კანდიდატს უნდა გააჩნდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
- კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე,

აუცილებელია კანდიდატს ჰქონდეს:

- პუბლიკაციები, ნაშრომები ან სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა, და/ან
- არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში.
- კანდიდატი ვალდებულია წარადგინოს კვლევის გეგმა, რომლის შესაბამისობას აფასებს სპეციალური სამკაცინი კომისია, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრები.
- იგეგმება ინტერვიუ ან ზეპირი პრეზენტაცია, რაც განაპირობებს კანდიდატის აკადემიური მზაობისა და კვლევითი ინტერესების პროფესიულად შეფასებას.

დაშვების წინაპირობები არის მკაფიოდ განსაზღვრული, სამართლებრივად და აკადემიურად არგუმენტირებული. სტრუქტურა უზრუნველყოფს მხოლოდ ისეთი კანდიდატების შერჩევას, რომლებიც:

- აკმაყოფილებენ ეროვნული რეგულაციების მოთხოვნებს,
- ფლობენ შესაბამის ენობრივ და კვლევით კომპეტენციებს,
- და გამოირჩევიან პროფესიული და აკადემიური გამოცდილებით.

ასეთი კომპლექსური, მრავალდონიანი და ობიექტური შეფასების მექანიზმი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამის მაღალკვალიფიციური დოქტორანტების მიღებას,

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

პროგრამა შესაბამისია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი                           | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა მიზანმიმართულად უზრუნველყოფს სტუდენტების კვლევითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც დოქტორანტურის საფეხურისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროგრამის სტრუქტურა და სწავლების მეთოდოლოგია გამიზნულია იმგვარი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად აწარმოოს თეორიულად დასაბუთებული, მეთოდოლოგიურად გამართული და აკადემიური სტანდარტების შესაბამისი კვლევითი საქმიანობა.

პროგრამის ფარგლებში დოქტორანტები სისტემატურად არიან ჩართული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში. ისინი ამზადებენ თეორიულ და ემპირიულ სტატიებს, მონაწილეობენ კონფერენციებსა და სემინარებში, რაც ხელს უწყობს როგორც საგნობრივი კომპეტენციების, ისე აკადემიური წერისა და საჯარო წარდგენის უნარების განვითარებას.

ასევე, პროგრამა ხელს უწყობს ინტერდისციპლინური ცოდნის ინტეგრირებას, რაც სტუდენტებს რეალურ აკადემიურ და პროფესიულ გარემოში კონკურენტუნარიანობას სძენს.

დოქტორანტებს ეძლევათ საშუალება ჩაერთონ უნივერსიტეტის კვლევით პროექტებში, იმუშაონ უცხოელ პროფესორებთან და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმებზე, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს მათ გამოცდილებას და პროფესიულ პროფილს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სილაბუსები
- ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლსიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

პროგრამა შესაბამისია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი  | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

**2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

მერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა აშენებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე, რაც გულისხმობს სწავლების იმგვარად ორგანიზებას, სადაც სწავლების პროცესის ცენტრში დგას დოქტორანტის აქტიური ჩართულობა, მისი ინტერესების გათვალისწინება და ინდივიდუალური აკადემიური განვითარება.

პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შეესაბამება როგორც დოქტორანტურის საფეხურს, ასევე კონკრეტული კურსების შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ სპეციფიკას. მათ შორის აღსანიშნავია:

- ვერბალური სწავლება
- ქეისების ანალიზი
- ჯგუფური და ინდივიდუალური კვლევითი მუშაობა
- გონებრივი იერიში
- ინტერაქტიული სემინარები
- დამოუკიდებელი კვლევითი პროექტები

ეს მიდგომები მჭიდროდ უკავშირდება სწავლების შინაარსს და უზრუნველყოფს პროგრამის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორებიცაა: კვლევითი და ანალიტიკური უნარები, აკადემიური წერით/საჯარო წარდგენის კომპეტენცია, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, კრიტიკული აზროვნება და ინტერდისციპლინური პრობლემების ანალიზი.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ასევე გამოიხატება დოქტორანტებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში, აკადემიური მენტორობის სისტემაში, თავისუფლებაში კვლევის თემის არჩევისა და განვითარების კუთხით, აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილების წახალისებაში.

მეთოდების შერჩევა ემყარება აქტიური სწავლების პრინციპებს, სადაც დოქტორანტები მხოლოდ მსმენელებად არ გვევლინებიან, არამედ არიან სწავლის პროცესის აქტიური თანამონაწილეები, რაც სრულად შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურის თავისებურებებს.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სილაბუსები
- ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლსიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

პროგრამა შესაბამისია სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი                    | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაში სტუდენტების შეფასების სისტემა დამყარებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებსა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამის პრინციპებზე. შეფასების პროცედურები სტრუქტურულად გამართული, გამჭვირვალე და სანდოა, რაც უზრუნველყოფს სწავლის ხარისხის რეალურ და სამართლიან მონიტორინგს. დოქტორანტების შეფასება ხორციელდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პოლიტიკით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, ყველა შეფასება ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული სტანდარტებისა და სილაბუსებში ასახული მექანიზმების საფუძველზე:

- სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებული შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ;
- შეფასება ეფუძნება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს;
- დოქტორანტის საბოლოო დისერტაციის დაცვა ხორციელდება საჯარო გარემოში, განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით;
- შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართული თემის ხელმძღვანელები, დამოუკიდებელი შემფასებლები და აკადემიური კომისია, რაც ზრდის პროცედურის ობიექტურობას;
- გამოყენებულია პლაგიატზე შემოწმების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პატიოსნების დაცვას.

